„დამტკიცებულია“ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 06/04/2020 წ. №02-03/08 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „მაუწყებელი“) ახალი ამბების სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე გარდა რედაქციული საქმიანობისა;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებლის ქცევის კოდექსით, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;

მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ამოცანები, რედაქციული დამოუკიდებლობა და ვალდებულებები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია პროგრამული პრიორიტეტების დაცვით, აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით, სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო ბადეებისა და ვებსამაუწყებლო ფორმატის შესაბამისად, ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის

მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის,სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის მომზადება, სატელევიზიო და რადიო არხებსა და ვებპლატფორმებზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში განთავსების მიზნით.

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია - ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- აქტუალური და აუდიტორიისთვის საინტერესო თემების გამოვლენა, ანალიზი და შერჩევა;
- სარედაქციო და საორგანიზაციო საკითხების სწორი დაგეგმვა და განხორციელება;
- სასცენარო გეგმების შემუშავება, წარმოების შეუფერხებელი წარმართვა და ტელერადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის შინაარსის შემუშავება და განთავსების მეთვალყურეობა;
- ვადების სწორი მართვა;
- სარედაქციო ბალანსის, ობიექტურობისა და ეთიკის ნორმების დაცვა;
- საარქივო სამსახურისთვის მასალების დროული მიწოდება დაარქივების მიზნით;

3. სამსახური დამოუკიდებელია რედაქციულ საქმიანობაში.

4. მაუწყებლის ახალი ამბების სამსახური თავისუფალია იდეოლოგიური, სახელისუფლებო, პოლიტიკური, ფინანსური, სოციალური, რელიგიური და სუბკულტურული გაერთიანებების, ინტერესთა ჯგუფების ან აღნიშნულ ჯგუფებთან დაკავშირებული პირების გავლენისაგან.

5. სამსახური საკუთარი ამოცანების განხორციელებისას ვალდებულია
- უზრუნველყოს მის მიერ მომზადებული პროგრამებისა და ვებკონტენტის სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე მთელ საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- არ გამოხატოს თავისი აზრი პროგრამებსა და ვებკონტენტში;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციის დროს უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებისთვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა;
- კანონის სხვა მოთხოვნები.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურში დასაქმებულია 1) სამსახურის უფროსი; 2) რედაქტორები; 3) პროდიუსერები; 4) რეპორტიორები; 5) წამყვანები; 6) ოპერატორები; 7) მემონტაჟეები და გრაფიკოსები;
2. რედაქტორები და რეპორტიორები დასაქმებულნი არიან სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის (მათ შორის სოციალური ქსელების) წარმოებაში, პროდიუსერები და წამყვანები სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოებაში, ხოლო ოპერატორები, მემონტაჟეები და გრაფიკოსები სატელევიზიო პროგრამებისა და ვებკონტენტის (მათ შორის სოციალური ქსელების) წარმოებაში.
3. სამსახურის ყველა თანამშრომელი ნაწილდება შესაბამისი მიმართულებით ყოველი სამაუწყებლო სეზონის განმავლობაში, სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო ბადეებისა და ვებსამაუწყებლო ფორმატის შესაბამისად. დასაშვებია ერთი თანამშრომელი ასრულებდეს რამდენიმე ფუნქციას.

მუხლი 4. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები

1. სამსახურის უფროსი

სამსახურის უფროსის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- სარედაქციო და საორგანიზაციო საკითხების სწორი დაგეგმვა და განხორციელება;
- სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკების შემუშავება;
- რედაქტორებისა და პროდიუსერების მხარდაჭერა;
- საჭიროების შემთხვევაში რედაქტორის, ან პროდიუსერის ფუნქციების შესრულება;
- თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და შესაბამისი გადანაწილება რედაქტორებს შორის;
- საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებაში რედაქტორებისა და რეპორტიორების მხარდაჭერა;
- გადანაწილებული თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვის ზედამხედველობა;
- სასცენარო გეგმების შემუშავება, სცენარის განვითარების საჭიროების გამოვლენა;
- სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადების მეთვალყურეობა;
- რესპონდენტების შერჩევაში მონაწილეობა;
- შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების გატარება;
- ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
- შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
- საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა და სამუშაო პროცესის სწორად წარმართვის უზრუნველყოფა, წარმოების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებსა და ხარვეზებზე ოპერატიული რეაგირება;
- სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის გაუმჯობესების მიზნით იდეების გენერაციის პროცესის ორგანიზება;
- თემატიკის განხილვა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა;
- სამსახურში დასაქმებულთა სამსახურებრივი საქმიანობის კონტროლი;
- მაუწყებლის დირექტორის მითითებების (გარდა რედაქციული საქმიანობისა) შესრულება.

2. რედაქტორები

რედაქტორის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-

შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიოს პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- სარედაქციო საკითხების სწორი დაგეგმვა და განხორციელება;
- თემების გამოვლენა, ანალიზი, შერჩევა და შესაბამისი გადანაწილება რეპორტიორებს შორის;
- საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებაში რეპორტიორების მხარდაჭერა;
- გადანაწილებული თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვის ზედამხედველობა;
- ყველა ტექსტის შემოწმება;
- სცენარის შექმნა, სცენარის შექმნისა და განვითარების საჭიროების გამოვლენა;
- სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადების მეთვალყურეობა;
- რესპონდენტების შერჩევაში მონაწილეობა;
- შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა, პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;
- ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
- შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
- სამსახურის უფროსის მითითებების შესრულება.

3. პროდიუსერები

პროდიუსერის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიო პროგრამების მომზადების მიზნით

- საორგანიზაციო საკითხების სწორი დაგეგმვა და განხორციელება;
- ოპერატორებსა და მემონტაჟეებს შორის დავალებების გადანაწილება;
- მოწვეულ სტუმრებთან, რესპონდენტებთან დაკავშირება;
- რედაქტორის მიერ მომზადებული მასალების დროული მოგროვება;

- გადანაწილებული თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებში ასახვის ზედამხედველობა;
- ტრანსპორტირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების დროულად გადაწყვეტა;
- სცენარის განვითარების საჭიროების გამოვლენის დროს რედაქტორების მხარდაჭერა;
- საეთერო მასალის მაღალი ხარისხით მომზარების მეთვალყურეობა;
- წამყვანების პროფესიული მომზადების მაღალი ხარისხის ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა;
- შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამების დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების კოორდინაცია;
- საორგანიზაციო საკითხების, შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
- საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელების პროცესში პრობლემებისა და გეგმიდან გადახრების დროული გამოვლენა, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დროული რეაგირება;
- საჭიროების შემთხვევაში რედაქტორის ფუნქციის შესრულება;
- სამსახურის უფროსის მითითებების შესრულება.

4. რეპორტიორები

რეპორტიორის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიოს პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და რედაქტორის მხარდაჭერა;
- საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება;
- ექსკლუზიური თემების მოძიება;
- თემების მოპოვების მიზნით შესაბამის ადგილზე გასვლა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გადამუშავება, რესპონდენტების შერჩევა, სათანადო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელება;
- თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვა;
- სარედაქციო და აუდიოვიზუალური მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადება;

- შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირება;
- ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
- სამსახურის უფროსის, რედაქტორისა და პროდიუსერის მითითებების შესრულება.

5. წამყვანები

წამყვანის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო და რადიოს პროგრამების მომზადების მიზნით

- თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და რედაქტორის მხარდაჭერა;
- საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება;
- ექსკლუზიური თემების მოძიება;
- საეთერო ტექსტების მომზადება;
- სატელევიზიო და რადიო გადაცემების წამყვანის მოვალეობის შესრულება (სცენარის, სასცენარო გეგმის მომზადება/გაცნობა, გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილება, გამართული მეტყველებისა და ვიზუალური მხარის უზრუნველყოფა)
- ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
- სცენარის განვითარების საჭიროების გამოვლენისას რედაქტორის მხარდაჭერა;
- სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადებაში მონაწილეობა;
- რესპონდენტების შერჩევაში მონაწილეობა;
- შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამების ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირება;
- სამსახურის უფროსის, რედაქტორისა და პროდიუსერის მითითებების შესრულება.

6. ოპერატორები

ოპერატორის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- აუდიოვიზუალური მასალის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების დროულად და ხარისხიანად განხორციელება;
- თემების მოპოვებისა და გადაღების მიზნით შესაბამის ადგილზე გასვლა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გადამუშავება, რესპონდენტების შერჩევა, სათანადო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელება;
- აუდიოვიზუალური მასალის ჩაწერის დროს ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ექსტრემალური და განსაკუთრებული პირობების არსებობისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში რეპორტიორის ფუნქციების შესრულება;
- გადაღებული მასალის გადამუშავება, მონტაჟი და სატელევიზიო ეთერსა და ვებპლატფორმებზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში განსათავსებლად მისი მომზადება;
- საორგანიზაციო საკითხების, შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
- აპარატურის სწორი ექსპუატაცია, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის დროული ინფორმირება;
- სამსახურის უფროსის, პროდიუსერისა და რედაქტორის მითითებების შესრულება.

7. მემონტაჟეები და გრაფიკოსები

მემონტაჟეებისა და გრაფიკოსების შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით

- გადაღებული მასალის გადამუშავება, მონტაჟი და სატელევიზიო ეთერსა და ვებპლატფორმებზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში განსათავსებლად მიწოდება;
- მონტაჟის წესებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებით ვიზუალური მასალის გადამუშავება და მისი გრაფიკული გაფორმების განხორციელება;
- სოციალური ქსელის, ან სხვა საშუალებით მონტაჟისა და გრაფიკული გაფორმებისთვის საჭირო დამატებითი ვიდეო, ფოტო, აუდიო და გრაფიკული მასალის მოპოვება;
- სატელევიზიო ეთერისთვის, ან ვებმაუწყებლობისთვის განკუთვნილი ვიზუალური პროდუქტის შემოწმება და აღმოჩენილი შინაარსობრივი, ან ტექნიკური ხარვეზის, შეცდომის, უზუსტობის, ასევე პრიორიტეტებთან შეუსაბამობის დაუყოვნებლივი აღმოფხვრა;
- სატელევიზიო ეთერში, ვებპორტალზე, ვიდეოარქივში განსათავსებელი, ანდა საჯარო ინფორმაციის სახით გასაცემი სრულფასოვანი აუდიოვიზუალური პროდუქტის შექმნა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ მითითებულ მატარებელზე, ან სერვერზე მისი ჩატვირთვა;
- მონტაჟის ხარისხიანად განხორციელების ხელისშემშლელი მიზეზების დადგენა და მისი აღმოფხვრისათვის წინადადებების შემუშავება;
- აპარატურის სწორი ექსპუატაცია, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის დროული ინფორმირება;
- სამსახურის უფროსის, რედაქტორისა და პროდიუსერის მითითებების შესრულება.

მუხლი 5. განსაკუთრებული დებულებები

1. სამსახურში მუდმივ, ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არყოფნის, ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურის უფროსის წარდგინებით დირექტორის გადაწყვეტილებით სამსახურს ხელმძღვანელობს ერთ-ერთი რედაქტორი, ან პროდიუსერი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს ეს უფლება.
3. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, სამსახურის უფროსი შესასრულებელ სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე, ან/და ასრულებს უშუალოდ;

4. სამსახურში დასაქმებულები უფლებამოსილები არიან ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან/და სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიაწოდონ დირექტორს.
5. სამსახურის უფროსი, გარდა რედაქციულ საქმიანობისა, ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებულების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვან და კეთილსინდისიერად შესრულებაზე;
6. სამსახური პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ, ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში კოლეგიურ ორგანოს - მმართველთა საბჭოს წარუდგენს მისი გამოსწორების გეგმებს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.